მამუკა ვასაძე

გენერალური პროკურორის მოადგილე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	6
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	6
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	7
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	7
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	12

მამუკა ვასაძე 2005-2014 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში, ასევე, შემოსავლებისა და საგამოძიებო სამსახურებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2014-2015 წლებში მამუკა ვასაძე იყო საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი. 2015 წლის ნოემბრიდან იგი საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილეა, 2018 წლის ივნისი-ივლისში მამუკა ვასაძე ასრულებდა გენერალური პროკურორის მოვალეობას.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გახმაურებული საქმეები

ვიდრე მამუკა ვასაძე გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ მუშაობდა, არაერთი საქმე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როგორც შინაარსის, ასევე გაჭიანურებული, არაეფექტიანი გამოძიების გამო. ბევრ საქმეში, დაზარალებულებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, დღემდე უცნობია გამოძიების შედეგები. ესენია:

- სიცოცხლის უფლების სავარაუდო ხელყოფის არასათანადო, გაუმჭვირვალე და გაჭიანურებული გამოძიებები (ხორავას ქუჩის საქმე[1], მაჩალიკაშვილის საქმე[2]);
- არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიებები;[3]
- პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალების ინტერნეტში გავრცელების/გავრცელების მუქარის არაეფექტიანი გამოძიებები;[4]

---

[1] სახალხო დამცველის ანგარიში, 2017, გვ. 37-40; იხილეთ დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა;

[2] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება; სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, გვ. 32;

[3] სახალხო დამცველი 2016 წლის ანგარიშში მიუთითებდა: „პროკურატურის მონაცემებით, 2016 წელს პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 173 საქმეზე, საიდანაც მხოლოდ 5-ზე დაიწყო დევნა, ხოლო ამათგან 2 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. აღსანიშნავია, რომ დევნა არცერთ შემთხვევაში არ დაწყებულა არასათანადო მოპყრობის ან წამების დანაშაულის კვალიფიკაციით, არამედ – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით.“ 2019 წლის 26 ივნისის ანგარიშში მან ასევე აღნიშნა: „2013-2017 წლებში წარმოებული და შეწყვეტილი 38 სისხლის სამართლის საქმე შეისწავლა. საქმეთა ანალიზმა ცხადყო, რომ ეფექტიანი გამოძიება კვლავ რჩება საგამოძიებო სისტემის მთავარ გამოწვევად. ჩაუტარებელმა, დაგვიანებით ჩატარებულმა და არაჯეროვანი გულისხმიერებით ჩატარებულმა საგამოძიებო მოქმედებებმა გამოავლინა საგამოძიებო სისტემის დაბალუნარიანობა, ადეკვატური პასუხი გასცეს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებას - გამოიძიოს არასათანადო მოპყრობის შემთხვევები ეფექტიანად. სახალხო დამცველი წლებია საუბრობს არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიან გამოძიებაზე, რომლის პასუხად ერთი და იგივე - „მიმდინარეობს გამოძიება“ - ისმის. საზოგადოება ნაკლებ შედეგს ხედავს და, შესაბამისად, იკარგება ნდობა ამ პროცესისა და, ზოგადად, საგამოძიებო ორგანოების მიმართ.“ იხილეთ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ.110-113;

[4] სახალხო დამცველი ანგარიშში მიუთითებდა: „საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა საქართველოს პროკურატურას და დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა. მიუხედავად პროკურატურის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რომლითაც დასტურდება, რომ პასუხისგებაში მიეცა არაერთი ადამიანი, მაინც უცნობი დარჩა პასუხი შეკითხვებზე: ვინ დაგეგმა, შექმნა და თავდაპირველად გაავრცელა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ინფორმაცია.“

- სამართალდამცველთა მხრიდან უფლებების სავარაუდო დარღვევის არაეფექტიანი გამოძიება (ბირჟა-მაფიას საქმე;[5] კლუბ „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებული სპეცოპერაციისას უფლებამოსილების გადამეტების სავარაუდო ფაქტები;[6] ზვიად რატიანის საქმე[7] და სხვა);
- წინასაარჩევნოდ მომხდარი ინციდენტების არაეფექტიანი გამოძიება[8] (კორცხელის ინცინდენტი და სხვა);[9]
- სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებზე სავარაუდო ზეწოლის არაეფექტიანი გამოძიებები (სავარაუდო მუქარა საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მიმართ[10]);
- სასამართლო ხელისუფლების მხრიდან და ამ სისტემასთან კავშირში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება (გიორგი მიქაუტაძის მიერ არასრულწლოვნის სავარაუდო ცემის ფაქტი, იუსტიციის საბჭოში ელექტრონული არქივის წაშლის ფაქტი,[11] საგამოცდო ტესტების გაჟონვის საქმე);[12]
- სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება (ე.წ. საბურავების საქმე, 2015 წელს ინტერნეტში გავრცელებული საუბრის საფუძველზე დაწყებული გამოძიება, რომელიც ეხება ოპოზიციის მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების შეთქმულებას[13] და სხვა);
- სხვა გახმაურებული და მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეები: (ტელეკომპანია რუსთავი 2-ის დამფუძნებელთა საჩივარი წილების იძულებით დათმობის შესახებ, აფგან მუხთარლის საქმე[14], ყოფილი გენერალური პროკურორის მხრიდან თავდასხმა გენერალურ აუდიტორზე[15], დეკანოზ მამალაძის საქმე[16], დემურ სტურუას საქმე[17], ია კერზაიას გარდაცვალების საქმე[18], მოხესა და ჭელაში მუსლიმთა უფლებების დარღვევის საქმე,[19] TBC ბანკზე განხორციელებული კიბერშეტევის საქმე[20], მალხაზ მაჩალიკაშვილის საქმე[21] და სხვა).

---

5 სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2017, გვ.169-170; აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით იხილეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი;

6 იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება;

7 იხილეთ „ტაბულას“ სტატია;

8 სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ. 219-222;

9 ფაქტთან დაკავშრებით იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაციის განცხადება; ასევე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს განცხადება;

10 საქმესთან დაკავშირებით იხილეთ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის განცხადება; იხილეთ „რადიო თავისუფლების“ სტატია;

11 იხილეთ „ნეტგაზეთის“ სტატია; თემასთან დაკავშირებით იხილეთ „კავშირები.ge“ -ს სტატია;

12 იხ. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სიუჟეტი;

13 იხ. სტატია.

14 სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2018, გვ.156-157; ასევე, იხ. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიში, აფგან მუხთარლის საქმე, ფაქტები და შეფასება, თბილისი, მაისი, 2018;

15 სახალხო დამცველის ანგარიში, 2017, გვ. 84.

16 იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება; ასევე, ადამიანის უფლებების შესახებ პორტალის, „Humanrights.ge“-ის განცხადება;

17 თემასთან დაკავშირებით იხილეთ ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის განცხადება; ასევე, „პალიტრა ნიუსის“ სიუჟეტი და სტატია;

18 იხ. „რადიო თავისუფლების“ სტატია;

19 სახალხო დამცველის ანგარიში, 2015, გვ. 487-489;

20 იხ. „ტაბულას“ სტატია;

21 იხ. „ლიბერალის“ სტატია;

გახმაურებული საქმეების არაეფექტიანი გამოძიების გამო, პროკურატურა არაერთხელ გახდა როგორც ადგილობრივი,[22] ისე საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი.[23]

სამოქალაქო საზოგადოებამ და ექსპერტებმა არაერთხელ განაცხადეს საჯაროდ შერჩევითი და პოლიტიზებული მართლმსაჯულების შესახებ (კაბელების საქმე;[24] TBC ბანკის დამფუძნებელთა წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება და წარდგენილი ბრალი 11 წლის წინ განხორციელებულ ფინანსურ ტრანზაქციასთან დაკავშირებით[25]; ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ყოფილი გენერალური დირექტორის მიმართ დაწყებული გამოძიება და წარდგენილი ბრალი;[26] პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დროს;[27] ამ აქციასთან კავშირში დეპუტატ ნიკანორ მელიასათვის წარდგენილი ბრალი; ოპოზიციონერი პოლიტიკოსის - ირაკლი ოქრუაშვილისა[28] და სხვა პირების დაკავება[29] და სხვ.).

შენიშვნა: საქართველოს პროკურატურა კოორდინაციას უწევს დანაშაულთან ბრძოლას და მის პრევენციას. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თვითონ ატარებს გამოძიებას, ხოლო როდესაც მას სხვა უწყებები უძღვებიან, ხელმძღვანელობს გამოძიების პროცესს. პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, ზედამხედველობას უწევს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოთა საქმიანობას, რეაგირებას ახდენს თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევაზე და სხვ.

საქართველოს პროკურატურა ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემაა - ყველა პროკურორი და სხვა თანამშრომელი ექვემდებარება გენერალურ პროკურორს. პირველი მოადგილის ფუნქციებს განსაზღვრავს თვითონ მთავარი პროკურორი. პირველი მოადგილე გენერალური პროკურორის ფუნქციებს ასრულებს მისი არყოფნის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

---

[22] **მაგ.: სახალხო დამცველის ანგარიშებში მითითებულია, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეები არ არის სათანადოდ კვალიფიცირებული და არ ტარდება ეფექტიანი გამოძიება არც ამ და არც სხვა გახმაურებულ საქმეებზე. იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2018; ასევე, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: „არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა", 2019;**

[23] **მაგ.: ანგარიშში** Association Implementation Report on Georgia, JOINT STAFF WORKING DOCUMENT, Brussels, 30.1.2019 SWD(2019) 16 final **მითითებულია:** „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევები შემცირდა, პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებისგან განსხვავებით. 2018 წლის სექტემბრიდან სახალხო დამცველის ოფისმა 149 საჩივარი მიიღო ციხის თანამშრომელთა ან პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ არასათანადო მოპყრობაზე და მთავარ პროკურორს მიმართა რვა საქმის გამოძიების მოთხოვნით. არცერთ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა." **ანგარიშში** Association agreements between the EU and Moldova, Georgia and Ukraine European Implementation European Parliamentary Research Service (2018) **მითითებულია:** „საქართველო ცდილობს, მიაღწიოს პროგრესს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში. ... პროკურატურა ამ სისტემაში რჩება ყველაზე სუსტ რგოლად."

[24] **იხ. „რადიო თავისუფლების" სტატია;**

[25] **იხ. „რადიო თავისუფლების" სტატია; ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" განცხადება;**

[26] **იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება.**

[27] **იხ. „ტაბულას" სტატია;**

[28] **იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" განცხადება;**

[29] **იხ. ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის სიუჟეტი.**

2. ზოგადი სტატისტიკა

სამართლებრივი საკითხი: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ

ფაქტები: მამუკა ვასაძემ გამოიტანა პირის ბრალდების დადგენილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 1^1 მუხლის „ბ“ ქ/პ-ით გათვალისწინებული ქმედებისთვის. აღნიშნული ქმედება გულისხმობს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, თუმცა მას არ მოჰყოლია 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ჯგუფურად. დადგენილების შემდგენ პირად მითითებულია მამუკა ვასაძე - საქართველოს მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი.

დადგენილების მნიშვნელობა: აღნიშნული დოკუმენტი კანდიდატმა მამუკა ვასაძემ (დიპლომსა და სხვა საკვალიფიკაციო დოკუმენტებთან ერთად) თვითონ წარუდგინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც მის მიერ მომზადებული სამართლებრივი დასკვნის ნიმუში.

დადგენილება

- დადგენილებაში პირის ბრალდების შესახებ არ არის დაზუსტებული ბრალდებულის ვინაობა, კერძოდ, გამორჩენილია მამის სახელი.

შენიშვნა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ სავალდებულო რეკვიზიტებსა და შინაარსს, რასაც უნდა შეიცავდეს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. მათ შორისაა ბრალდებულის მამის სახელიც.

- დადგენილებაში პირის ბრალდების შესახებ ვკითხულობთ: **„(პირმა) ჩაიდინა ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჯგუფურად“.** ამ ფორმულირებით ბრალის დადგენილება მიუთითებს არა დასაბუთებულ ვარაუდზე, რომელიც უნდა დაადასტუროს ან უარყოს სასამართლომ, არამედ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის უტყუარ და დადასტურებულ ფაქტზე.

შენიშვნა: კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს **დასაბუთებული ვარაუდი,** რომ ჩაიდინა დანაშაული. ბრალის დადგენილებაში აღინიშნება **დასაბუთებული ვარაუდისთვის** საკმარისი მტკიცებულებები, რომ პირმა ჩაიდინა ეს დანაშაული. დანაშაულის ჩადენის უტყუარად მიჩნევისა და დადასტურების ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვს სასამართლოს.

- დადგენილებაში მოცემული ინფორმაცია არ არის ამომწურავი. მაგალითად, მხოლოდ ჩამოთვლილია ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები: **„მოწმეების (პირები) გამოკითხვის ოქმები, გამოთხოვილი ინფორმაციები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ვიდეოჩანაწერები, საქმეზე ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები“.** დადგენილებაში არ არის დაკონკრეტებული გამოთხოვილი ინფორმაცის სახეები, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები და ა.შ.
- დადგენილებაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა ინფორმაციას იძლევა თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულება, რამაც შექმნა დასაბუთებული ვარაუდი ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ.

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 2005-2007 წლებში მამუკა ვასაძე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლად. 2007-2009 წლებში იყო ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი, ხოლო 2009-2014 წლებში - საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი.
- 2014-2015 წლებში მამუკა ვასაძე გახლდათ საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი. 2015 წლიდან ნოემბრიდან იგი საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილეა. 2018 წლის ივნის-ივლისში, საპროკურორო საბჭოს მიერ მთავარი პროკურორის არჩევამდე, მამუკა ვასაძე ასრულებდა გენერალური პროკურორის მოვალეობას.

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- 2014 წლის მარტში (პროკურატურაში საქმიანობის დაწყებიდან 2 თვეში) მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა, გიორგი ბადაშვილმა, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მამუკა ვასაძეს ვადამდე მიანიჭა იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური სახელმწიფო წოდება.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- მამუკა ვასაძე ნასამართლევი არ არის.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები არ ფიქსირდება.
- სასამართლო დავებში მამუკა ვასაძე არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მამუკა ვასაძე არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი
- 2018 წელს „კვირის პალიტრამ“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ოთარ ფარცხალაძე პროკურატურას მამუკა ვასაძის მეშვეობით აკონტროლებდა.[1]
- მისი რეკომენდატორები არიან: მოქმედი გენერალური პროკურორი, შალვა თადუმაძე, და მისი 2 მოადგილე - გიორგი ბადაშვილი და გიორგი გოგაძე.

[1] „მამაცაშვილი, ჩხარტიშვილი, გახარია....“ ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2Ykflx9

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

მამუკა ვასაძე არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს არც პერსონალური პროფილი და არც ოფიციალურ თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

2. მამუკა ვასაძის საჯარო განცხადებები

2.1 მამუკა ვასაძის განმარტება ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებით

მამუკა ვასაძემ, როგორც საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილემ, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიების შესახებ 2018 წლის 25 ივლისს აღნიშნა: „გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც სისხლის სამართლის საქმე დამასრულებელ ეტაპზეა, ადამიანი რამდენჯერაც წაიკითხავს, იმდენჯერ შეიძლება შეექმნას განცდა, რომ რაღაც დამატებით უნდა ჩატარებულიყო. თუმცა, ერთია, როცა შემფასებელი ხარ და მეორეა, როცა უშუალოდ საქმის შემოქმედი ხარ. ვგულისხმობ პროცესის მწარმოებელ პირებს. მოწმენდილ ცაზე გიწევს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპერატიული მოთხოვნებით, ვადა არის ერთთვიანი. ამ ფაქტორების გათვალისწინებით და დღევანდელი გადმოსახედიდან, შეიძლება არსებობდეს საგამოძიებო მოქმედებები, რომლებსაც ჩავთვლით, რომ უნდა ჩატარებულიყო. ამის ვერჩატარების ობიექტური გარემოებები პროცესის მწარმოებლებმა განმარტეს, ახსნეს, და ჩემთვის, როგორც ყოფილი გამომძიებლისთვის, მეტ-ნაკლებად კი არა, დამაჯერებელი იყო“.[1]

ამ საქმესთან მიმართებით, მამუკა ვასაძემ უპასუხა დამატებით შეკითხვებსაც, მათ შორის, თუ რატომ გაავრცელა პროკურატურამ საქმის მასალები სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის მიღებამდე: „როგორც ვიცით, ბოლო პერიოდში საზოგადოებას შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს არასრულწლოვანთა მკვლელობის საქმეზე არ არსებობდა არცერთი მტკიცებულება; თითქოს არც დანები არსებობდა; თითქოს მოწმემ, რომელიც ჩვენებას იძლეოდა, ჩვენება შეცვალა. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო დაცვის მხარის ცალმხრივად არასწორი ინფორმაციის მიწოდებით საზოგადოებისათვის, რამაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა და საზოგადოების წუხილი. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით მუდმივად გვქონდა და გვაქვს კომუნიკაცია დაზარალებულთან, ისევე, როგორც სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე. [...] ჩვენ დღესაც ვთავაზობთ დაზარალებულებს შეხვედრას. გავცემ ყველა შეკითხვას პასუხს. [...] ვინაიდან საზოგადოებაში შეიქმნა აზრი, თითქოს არ არსებობდა მტკიცებულებები, თითქოს მაკრატელზე იყო საუბარი, ვიღაცას ხელს ვაფარებდით... არასრულწლოვნების ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ ისე მოვახერხეთ მტკიცებულებების გამოქვეყნება, რომ არცერთი არასრულწლოვნის ინტერესი არ შეგვიბღალავს“.[2]

ჟურნალისტის დამატებით შეკითხვაზე, თუ რატომ გამოაქვეყნა პროკურატურამ მტკიცებულებები სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ორი დღით ადრე,[3] მამუკა ვასაძემ უპასუხა: მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, რადგან მას აწვდიდნენ ცალხმრივ ინფორმაციას. ეს ხდებოდა დაცვის მხარის მიერ. ასევე, ცალკეული ექსპერტების მიერ ხდებოდა გარკვეული არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება. საზოგადოებას შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ამ საქმეზე ჩვენ რაღაცას ვმალავდით, მაშინ, როცა მაქსიმალურად მოკლე დროში ჩატარებული იყო ყველა საგამოძიებო მოქმედება“.[4]

---

1 „მამუკა ვასაძე - რამდენჯერაც წაიკითხავ სისხლის სამართლის საქმეს, იმდენჯერ დაგრჩება განცდა, რომ რაღაც კიდევ გასაკეთებელია“, 2018 წლის 25 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/mamuka-vasadze

2 „მამუკა ვასაძე ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/OfficialPOG/vi

3 იქვე, 4:28.

4 იქვე, 5:26.

2.2 მამუკა ვასაძის განმარტება ე.წ. „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით

2017 წლის 18 თებერვალს მამუკა ვასაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში უპასუხა შეკითხვებს ე.წ. „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით. კერძოდ, ჟურნალისტმა მამუკა ვასაძეს შეახსენა მთავარი პროკურორის 13 თებერვლის განცხადება და მოიყვანა ციტატა: „...ერთ-ერთი მოქალაქის განცხადების საფუძველზე, რომელმაც მომართა საქართველოს პროკურატურას და მიუთითა, რომ მისმა ნაცნობმა, მამა გიორგი მამალაძემ, სთხოვა სიცოცხლისთვის საშიში შხამიანი ნივთიერების, ციანიდის მოძიებაში დახმარება, რომლითაც, როგორც გაარკვია, ამ უკანასკნელს უნდა მოეხდინა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის სიცოცხლის ხელყოფა.“ ჟურნალისტმა დამატებით მიუთითა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან საუბარი იყო პატრიარქის უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, საზოგადოებას გაუჩნდა აზრი, რომ საქმე ეხებოდა პატრიარქს, თუმცა, შუა კვირაში მათ მოისმინეს სხვა შეფასება: პროკურატურის ერთ-ერთი თანამშრომლის ინტერვიუს მიხედვით, არათუ პატრიარქზე, მაღალი იერარქიის წარმომადგენელზეც არ იყო საუბარი და საკითხი ეხებოდა ერთ-ერთი პირის მკვლელობის მცდელობას. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტმა იკითხა: „თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, რა წერია ბრალში, ვისი მკვლელობის მცდელობაზე მიმდინარეობს გამოძიება, არის თუ არა ეს ადამიანი პატრიარქი ან სასულიერო პირი?“

მამუკა ვასაძემ განმარტა:

> **„ბუნებრივია, დავიწყებ განმარტებით იმის შესახებ, რომ გამოძიება ხსენებულ სისხლისსამართლებრივ საქმეზე დაწყებულ იქნა 2017 წლის 2 თებერვალს მოქალაქის, კერძოდ, ჟურნალისტ ირაკლი მამალაძის განცხადების საფუძველზე. ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ტექსტშიც ამაზეა საუბარი, კერძოდ, თუ რის საფუძველზე დაიწყო გამოძიება და ჩვენს საფუძვლად მითითებული განცხადების შინაარსზე. [...] რაც შეეხება გამოძიებით დადგენილ საფუძვლებს, გამოძიებამ დაადგინა, რომ მტკიცებულებების საფუძველზე, დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, მართლაც იგეგმებოდა ერთ-ერთი პირის მკვლელობა. აქ შეიძლება ყოფილიყო ერთი ან რამდენიმე პირი, მათ შორის, ერთი პირი იდენტიფიცირებულია და მითითებულია შესაბამის დოკუმენტებში, რომლის ვინაობაზეც ამ ეტაპზე არ ვისაუბრებთ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. [...] გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს და ყველას დასახელება უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება გამოძიებისთვის... ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. [...] შესაძლოა, გამოძიებაში მრავალი მტკიცებულება წარმოჩინდეს, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება ამა თუ იმ ვერსიის დასადასტურებლად“.**[5]

დამატებით ჟურნალისტმა მამუკა ვასაძეს სთხოვა, დაეკონკრეტებინა, იყო თუ არა სასულიერო პირი ის ადამიანი, ვისი მკვლელობაც, სავარაუდოდ, იგეგმებოდა. ამაზე მამუკა ვასაძემ აღნიშნა, რომ სხვა დეტალებს ამ ეტაპზე არ დააკონკრეტებდა.[6]

---

[5] „მამუკა ვასაძე: „სახელმწიფომ გააკეთა ყველაფერი, რომ საფრთხეები აგვეცილებინა“, 2017 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.imedi.ge/ge/video/10, 2:03.

[6] იქვე, 5:01.

3. კანდიდატ მამუკა ვასაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა მამუკა ვასაძეს: **„სახალხო დამცველის მიერ რამდენიმე კვირის წინ გამოქვეყნებულ დასკვნაში საუბარია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრი, სავარაუდოდ, ერთიანი სქემით მოქმედებდა და ისე გადაიყვანეს 50 ადამიანიდან მეორე (გასაუბრების) ეტაპზე. მათ შორის თქვენზეც არის საუბარი. თქვენი აზრით, თუ მართლაც ასეა (მე არ გთხოვთ, შეაფასოთ სახალხო დამცველის ანგარიში) და, სავარაუდოდ, საბჭოს წევრები წინასწარ შეთანხმდნენ და ისე გადაიყვანეს კანდიდატები მეორე ეტაპზე, როგორ ფიქრობთ, აჩენს თუ არა ეს კითხვებს იმ კანდიდატის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა მერე გახდეს მოსამართლე? და ხომ არ დაარღვევს ეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას?“**

მამუკა ვასაძის პასუხი:

> **არ გავცნობივარ დასკვნას. თუმცა თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რაც შემიძლია დაგიდასტუროთ, არის ის, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლებით, უზენასი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურები ზედმიწევნით დეტალურად არის გაწერილი. მე აქ წარმოვდექი ამ კანონმდებლობის ზუსტი და ზედმიწევნითი დაცვით. რაც შეეხება შეფასებებს ცალკეული კანდიდატების მხრიდან, ეს მათი სუბიექტური აზრია. დამთხვევას რაც შეეხება, რთული მათემატიკური ფორმულების გაანგარიშებით, მე ვერ წარმომიდგენია, რა დამთხვევებზე შეიძლება იყოს საუბარი, ან რას ეფუძნება ეს დამთხვევები, და ამაზე კომპეტენტურ პასუხს ვერ გაგცემთ... რაც შეეხება საბჭოს წევრებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ეს არის მათი უფლებამოსილებაც და უფლებაც. უფრო მეტს ვიტყვი, მათ შორის კოლეგიური სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების დროს, სათათბირო ორგანოში მოსამართლეები პირის დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით ერთმანეთთან გადიან კონსულტაციას, აზრთა ჭიდილით გადიან თითოეულ საკითხს, არის დისკუსია, შეიძლება ერთხმად მიიღონ გადაწყვეტილება, შეიძლება ერთი მოსამართლე განსხვავებული აზრით გამოვიდეს და წარმოადგინოს თავისი თავი“.**

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რა შემთხვევაში შეიძლება გასცდეს მოსამართლის მიმართ კრიტიკა (თუნდაც შეურაცხმყოფელი) გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს? რა შეიძლება იყოს ამის მაგალითი?“**

მამუკა ვასაძის პასუხი:

> **გამოხატვის თავისუფლება იქ წყდება, სადაც დანაშულის ნიშნები შეინიშნება, დანაშაულის ნიშნები არის იქ, სადაც ადგილი აქვს მუქარას და ა.შ.“**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„პრესაში გავრცელებულ რამდენიმე ამონარიდში რესპონდენტი ამბობს, რომ თქვენ განახორციელეთ მასზე ზეწოლა. თუ შეგიძლიათ, პასუხი გასცეთ ამ ბრალდებას?“**

მამუკა ვასაძის პასუხი:

> **ერთმნიშვნელოვნად გეტყვით, რომ არასდროს ჩემი კარიერის მანძილზე არც ფსიქოლოგიური, არც ფიზიკური და არც სხვაგვარი ზეწოლის ფაქტი არ ყოფილა და ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს“.**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა ფენაა ჩართული: საუბარია დეკრიმინალიზაციაზე, უკვე ლეგალიზაციაზეც. თქვენ როგორ ხედავთ ამ საკითხს?“**

მამუკა ვასაძის პასუხი:

„ამ შემთხვევაში მე გამოვალ პროკურორის ჩარჩოებიდან და ჩემი, როგორც მოქალაქის პოზიციას წარმოგიდგენთ. მომხმარებლების მიმართ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ჩემთვის მიუღებელია, რადგან მომხმარებლებს უფრო სხვა დაწესებულებების მხრიდან სჭირდებათ მეტი ყურადღება. რაც შეეხება რეალიზატორებს და ა.შ. მათ მიმართ ჩემი მიდგომა არის მკაცრი, რადგანაც ესენი არიან ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მატერიალური ინტერესებით ხელმძღვანელობენ, კანონით აკრძალული ნივთიერებები შემოაქვთ, იძენენ და რეალიზაციას ახდენენ“.

ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინათ ჩატარდა თბილისი პრაიდი, რამაც ხალხში გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია. თუმცა, მანამდე აქციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა მიმართეს ერთ-ერთ მენარდეს და შესთავაზეს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შესაბამისი წარწერების მქონე მხარდამჭერი ფლაერების დამზადება. მენარდემ უარი უთხრა ხელშეკრულების დადებაზე იმ არგუმენტით, რომ არ დაუჭერდა მხარს ლგბტ პირთა რეკლამირებას. შეაფასეთ მენარდის უარი, რამდენად მართლზომიერად არის გამოყენებული უფლება. თუ შეიძლება, არგუმენტიც რომ მითხრათ და კონტრარგუმენტიც. თქვენი, როგორც მოსამართლის შეფასება რა იქნებოდა? როგორ იმსჯელებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დაირღვა თუ არა კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე უფლება?“

მამუკა ვასაძის პასუხი:

ჩემი შეხედულებით და პირადი განწყობით, ამოსავალი არის კონსტიტუცია. პირს უფლება აქვს, ნებისმიერ პირს მიმართოს და მეორე პირს, ამ შემთხვევაში, უფლება არ აქვს, დისკრიმინაციული საფუძვლით უარი თქვას ამა თუ იმ უფლების რეალიზაციაზე“.

გასაუბრების ეტაპზე მამუკა ვასაძეს შეკითხვა დაუსვეს ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებითაც, რაზეც მან განაცხადა:

„როგორც სტრუქტურა, მე დამსახურებულად ვიღებ ამ კრიტიკას. ამის შესახებ ღიად და პირდაპირ ჩემი აზრის დაფიქსირება არ მიჭირს. რთული საქმე იყო, თუმცა, სხვადასხვა გამოწვევით ხასიათდებოდა ეს სისხლის სამართლის საქმე. მე რაც მახსენდება, ეს არის იმ საქმეთაგანი, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა როგორც მატერიალური, ისე პროცედურული დარღვევა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრა საქართველოს სახელმწიფოს და სასამართლომ იმსჯელა გამოყენებული ძალის პროპორციულობაზე. 2006 წლის ფაქტთან დაკავშირებით, პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში 2015 წელს იქნა მიცემული. ეს არაგონივრული დროა გამოძიებისთვის. ამავდროულად, დაემთხვა ისიც, რომ 2015 წლის თებერვალში დავაყენეთ პასუხისმგებლობის საკითხი და იანვარში იური ვაზაგაშვილი გარდაიცვალა“.

ამ თემაზე მამუკა ვასაძემ დამატებით აღნიშნა,

რომ „საქმის გამოძიების დროს დაიკითხნენ ის მოწმეები, რომლებიც ძველი გამოძიების პერიოდში არც იდენტიფიცირებულები იყვნენ და არც გამოკითხულები... მიუხედავად ამისა, მაინც დადგინდა პროცესუალური დარღვევა სტრასბურგის სასამართლოს მიერ. როგორც უწყება, ვიღებ ამ პასუხისმგებლობას იმიტომ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რომელი გამომძიებელი, რომელი პროკურორი ან რომელი სტრუქტურა იძიებს სისხლის სამართლის საქმეს. ფაქტი სახეზეა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში სახელმწიფომ და პროკურატურამ ვერ უზრუნველყო ის, რომ ჩაეტარებინა სრულყოფილი, სწრაფი გამოძიება და მიეღო შედეგი“.

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2018
ბინა თბილისში
226, 971 $

2. ფინანსები

2013-2018 წლებში მამუკა ვასაძეს, შრომის ანაზღაურების სახით, მიღებული აქვს 646,124 ლარი. ყველაზე მაღალი შემოსავალი უფიქსირდება 2015 წელს - ჯამში, 115,350 ლარი. კანდიდატის მეუღლე, ნინო გირგვლიანი, არის იურისტი და მისი საშუალო წლიური ხელფასი 2014-2017 წლებში უტოლდებოდა 15,237 ლარს. 2018 წელს ნინო გირგვლიანს პროფესიული საქმიანობიდან ანაზღაურება არ მიუღია.





მამუკა ვასაძეს მიმდინარე საბანკო ვალდებულება TBC ბანკში უფიქსირდება. კანდიდატმა 2018 წელს 180,000 აშშ დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხი აიღო, რასაც დანაზოგიდან 105,000 ლარი დაამატა და, ჯამში, დაახლოებით, 558,000 ლარი გადაიხადა მშენებარე ბინაში. დეკლარაციების თანახმად, მოსამართლის მიერ შეგროვებული თანხა თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა. ყველაზე მაღალი დანაზოგი - 146,336 ლარი - 2013 წელს უფიქსირდება.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს, თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ